ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 251

ქალაქი ქუთაისი 29 აგვისტო 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილეებს შორის ფუნქციების განსაზღვრის
შ ე ს ა ხ ებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

მუხლი 1. განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის ფუნქციები, დანართის შესაბამისად.

(დანართი ბრძანებას თან ერთვის)

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის 2022 წლის 29 აგვისტოს №251 ბრძანების
დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილეების ფუნქციების განსაზღვრის შესახებ

1. **საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გია ბასილაძე:** ახორციელებს საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების კოორდინაციის გაწევაში, საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში, საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი მოვალეობების შესრულების კონტროლის საქმეში საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხელშეწყობას; ახორციელებს საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის მიცემულ სხვა დავალებებს; საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას.

2. **საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - თეიმურაზ ნადირაძე:** უზრუნველყოფს აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, საკრებულოსათვის ხელშეწყობას; ახორციელებს საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის მიცემულ სხვა დავალებებს; საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით, ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას.

3. **საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - პაატა ლილუაშვილი:** ხელს უწყობს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს აპარატში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული პრინციპების დაცვაში; ახორციელებს საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის მიცემულ სხვა დავალებებს; საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით, ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია